

ლიან

შალდელი

ქისტი ლაღო

პოემა

ლია შილდელი

ქისტი ლადო

(პოემა)

თბილისი
2022

ლია შილდელის, იგივე ლია გიგიტაშვილის ლექსებში შეხვდებით სიტყვების ისეთ თამაშს, როგორიცაა:

იები და ვარდები,
ვარდები და იები,
მოგევარდებიებით,
მოგეიავარდებით.

განსხვავებით ზემოთქმულისა, სხვანაირადაა აგებული პოემა - „ქისტი ლადო“.

© ლია გიგიტაშვილი, 2022 წ.

დამკაბადონებელი - ლია სულაქველიძე

წიგნი გამოსაცემად მომზადდა და დაიბეჭდა
გამომცემლობა „საქართველოს მაცნეში“

ISBN 978-9941- 8-4900-8

პროლოგი

გული მქონდა ლექსისა,
ლექსმა მწერა წერითა,
მაცალეს, არ მაცალეს,
სრულყოფა სათქმელისა.

რაღად მინდა სიცოცხლე,
მზემ მატირა კვნესითა,
თავს ვერ ასწევს ბულბული,
სირცხვილითა ჩემითა.

დაიხვრჩება გუბეში
ია ჩემი ცრემლითა,
კალამისა ვენითა,
პოეტისა წერითა!

როგორ უნდა ვილანძღო,
უკვდავი ვარ! ლექსი ვარ...
ყაყაჩოს კუბოს ვთხაპნი!
ხელობითა მკვლელითა.

I თავი

იძრეთ ვადა, თქვე ქისტებო

მიდის, მიდის ჯიხვის ჯოგი
კლდის ნაშალზე, სისხლი კოლტ-კოლტ
სდის იმ დიდ ჯიხვს, იღბალს ჯობნის,
კალავს შავ მკერდს, ზედ რომ ლოკოს.

ხედავს თუ გრძნობს, მისდევს ქისტი,
მტერი ჯიხვთა, ქისტი ლადო,
სტიქრის კაბა მოსავს ახლა,
ერთი თვეა ხეტიალობს.

გუშინ ეცვა ჩოხა შავი,
ტინში იყო ქვათა წვიმა,
შინ მიუხტათ დაბლა, ხრამში
ტყვიით ბევრი მიაწვინა.

ამ დროს მასაც მოხვდა ტყვია,
არ სატყვიეს, სათაყვანოს,
წამოხტა და ცას აჰყვირა -
ტყვილა გიხარია, ყვავო!

ფრთები უნდა არწივისა,
რომ ციცაბო გადალახო,
ფრთხები უწყალ-წყალობითა,
ცნობ მიქელას სუნთქვას ახლოს!

თუ ავიდა მთის მწვერვალზე,
სადაც მზეც კი შუბზე წვება,
დავითს წაუკითხავს ზვავზე,
გადარჩენილ უშობელას.

ასასვლელი არსად არის,
დაჭრილ მკერდით კვეთავს საჩლიქს,
ასა! - ყვირის და ანბანი
ჭრელ კლდეს ახლის ქისტის აჩრდილს.

ვიდრე დაბლა სიტყვის ექო
ატყდა და გვაგიჟებს მორთხმით,
იძრეთ ვადა თქვე ქისტებო,
ტაბლას მე გაგივსებთ ხორცით.

არ ენდობა ქისტი ამ ჯიხვს,
წინამძღოლს და სიბრძნით სავსეს,
აეღობა ქიმს, მოაჯირს,
სწირავს ორ ბრიყვს და ბანს არღვევს.

არ ენდობა, მაგრამ ვერც თავს
ვერ იკავებს და უთმობს თმობს.

თავი II

უხამსი ბეწვი

მთვარის მონამა ცამ ვერცხლმა,
წვერით დაგვემა უთოფო.

ტკიოდა ზურგი და წვივიც
ქისტს, საჯიხვეზე მფრინავსა,
იტყოდა: „ოქროს საწმისი“
ჰქვია ამ ქართულ ფიალას.

ყალიონს რომ აბოლებდა,
ქისტურად ვეღარ ცეკვავდა:
- დამყვირონ გომბიოებმა
- ფლატედან ფსიტეზე ავალ.

იქადნებოდა - მეთაურს
რქებით დავკიდებ მუხაზე,
რქით არ მეყოფა, მე მთლად მსურს
ქებით გავაძრობ უხამს ბეწვს.

ჯიხვს კი ჭკვა ჰქონდა გარეულს
მოკაფიაე ნადირის,
სჯის კიჭას, ქოროღლს, არეულს
კოლხ ფარას გადავარდნილი:

თუ ცოცხალია, რად არ სჩანს?
რად არ ჭამენ ლეშს სვავები,
უცხომა იარაღმა მკლას,
მთის ჭაღს როდემდე დავდგებით.

ვაცი ტყავს მბზინავს დაწყევლილს,
გაბრაზებული იგლეჯავს,
იხსენებს თვალებს, ნაწყენი,
სათვლელს ურიცხვს და ჯიშს ჯერ არს!

თავი III

(ჩანართი)

შვილის მკვლელები დასწყევლა
დედამ, გერქვათო - სადილი.

განა არ იცის, რომ ამ მთას
გამოქვაბული აქვს ნოლი,
ამ ნოლში ბევრი ნოლია
და არ გაწყდება აქ ჯოგი.

თუ სიმხურვალეს გაუძლებს
თავის ენაზე, ტარტარას,
თავისუფლება ღვთის მხვდომლის
ან გაბრწყინდება, ან ჩავა.

ყლუფში ყლუფიდან გასული,
ტყუპი დღითა და ღამითა,
მძივებად დაეკიდება
„ოქროს საწმისის“ ნაღვინარს.

და ხვრელში, სადაც სინათლე
პირიქით უკან იქცევა,
ამონულდება სასუნთქი,
ზე აქტიური სისტემა.

დაეკონება ჯიხვი ჯიხვს,
აართმევს ზედმეტ სავაცეს,
გადაიხრება ბალანსი,
ყველა უღმერთოს წააქცევს.

და ასე თეთრი თუ... უფრო,
წრეში საფეხურს დაცერავს,
დატრიალდება უსულო,
სიტყვით წავა, კვალს ასცდება...

მოაწყობს მწყერი სასიძო,
სანახობას ფრთხიალით,
ქალი აყვება ბულულში,
ამოიკვნესებს (ბულბული) თხილნარში.

და სამშვიდობოს ამოვლენ,
სადაც არ ელით არავინ,
იქიდან ფეხის სისწრაფე,
გადასაფრენი ქარაფში.

როცა მედეამ დაწყევლა,
არ შეიბრალა არავინ,
ვერც მიხვდა, რა დააბრალეს,
ასე დატოვა ტაძარი.

და ბოლოს, როცა საბრალო
სიკვდილს ეძებდა უაზროდ,
ქალღმერთმა დალიმ მოძებნა
და ჯადოსნობით უკვდვყო.

მედეას შთამომავლობა
კლავს და ვერა კლავს ამ ჯიხვსა
და ახლა მის წინ ქისტი დგას,
ხელით ფხას სინჯავს ხანჯლისას.

კაცების ვნებად და წერად
იქცა საჯიხვეს ნადირი
და სამუდამოდ დაწყევლა
დედამ, გერქვასო სადილი!

თავი IV

საჯიხვეს ჯიხვი დგას გიჟი

გზა არის, მზეც, რაღაც მეტიც,
დაეწია ცერზე სეტყვაც,
ზარი რეკავს სახატეში,
აყვა ზარის მეტყველებას.

ლადომ გუშინ ბევრი მოკლა,
სურდა მხოლოდ წინამძღოლი,
შუშის ლალო, ბეწვით მოგრთავს,
ოღონდ სანთლის წირვას მჯდომი.

ზურგზე აიკიდა ხორცი,
შავი სისხლით დაწრეტილი,
მუზებმა უზურგეს ოხვრით,
შაშვის ჭყივილს და წერტილი.

აღთქმა თქვა ქისტ ლადომ ღრეჭვით,
ტყიდან არ წავალო, მანამ
ალქაჯ და წინამძღოლ მკვლელ ჯიხვს
მყვირალს არ გავაძრობ ბაწარს.

საჯიხვეს ჯიხვი დგას გიჟი,
შავი აქვს ბეწვიც და ვნებაც,
სამი დღე ჯიბრში კლა ჟინი,
აიშვა წყეული წყევლა.

უწინ კი ჩოფურა მწყემსი,
კლდიდან გადაჩეხა ქარაფს,
გუშინწინ ფურების მყესი,
დაცალა შავ რქებმა, ქაფად.

აუცდა გუმანი მეფეს,
მეფეა ქისტებში ლადოც,
გაცუდდა, შებღავლა ფეხებს,
კლდის პირას, ძალიან ახლოს.

ლადო დაეკიდა რქებში,
ჩლიქების ძალა და ჯვარის,
ალღოს არ ეძინა ერთში,
ლეჩაქი არ იყო ჯავრში.

და არ ნებდებოდა ჯიხვი,
უფსკრულს ფაშვი ჰქონდა ღია,
დანა თხემზე მოხვდა, ჯიბის
ბურუსს ნავსი ბოღმად ღვრიდა.

აქ კლდე ურანია მარტო,
ჯიხვმა შეანთქია ღვარძლი,
კანზე ღრუ აქვს ღია, სატრფოს,
სინჯა ამოფშვინვა ძარღვის.

კიდევ აქვს იმედი ლადოს,
წაუღოს ჯიხვის რქა ქისტებს,
კი, დევმა, სივენით სცადოს
აურწყოს ყლორტს, თავთავს, ქრისტე.

უშრატო რძე არ აქვს ლადოს,
სითბომ საქვაბე დაზარა,
შურდათ ტორებს, არა მარტო
თითქოს ამ რქებს შეეზარდა.

წამოიღო რქებით კაცი
ჯიხვმა, ლანძღვად და საქებრად,
აწონისო ბერიკაცი
მგელს და სამგლეს, სახარება:

ეპილოგი

არ გამომჭრათ ყელი,
შემიცოდეთ ყოვლის,
მე ვარ პატიება,
გვიანდელი შობის.

ამ სახეს და ხელებს,
თუნდაც გულისცემას,
შეურყვნია სუფთა,
ცრემლთა დადინება.

და აღარც კი ვიცი
ნამდვილი ვარ? ვცოცხლობ?
იქნებ იქ ვარ, სადაც
ფერი დღაბნის ხოხობს.

სადაც სიტყვა უხვობს
ანდა უსიტყვობა,
სადაც ენა მრუშობს
ან სულ უმრუშობა.

და რადგანაც ჩემს გულს
ვარდი ეშვილება,
ანდა იის კისერს
ჩაეგვრიტინება.

უძლური ვარ, ერო,
ცრემლს ვანთხევ და შველას,
გადავიჭრი მაჯას,
ნახავთ სისხლთა დენას.

2022 წლის ოქტომბერი

ISBN 978-9941-8-4900-8